

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს
სხდომაზე *ოქმი* # _____
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი (ზ. ვადაჭკორია)

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს
სხდომაზე *ოქმი* # _____
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
დეკანი, პროფესორი (დ.ბერაშვილი)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ფარმაციის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის
საგანმანათლებლო პროგრამა
ფარმაცია

აკადემიური ხარისხი: *ფარმაციის ბაკალავრი*
ACADEMIC DEGREE - BACHELOR OF PHARMACY

პროგრამის მოცულობა: *240 ECTS კრედიტი*

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფარმაცია

კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფარმაციის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 (1 ECTS კრედიტი უდრის 30 საათს)

სწავლების ენა პროგრამა განხორციელდება ქართულ და ინგლისურ ენაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი, სათანადო კომპეტენციის ლიბერალური ღირებულებების, პროფესიული ზრდისა და შემდგომ ეტაპზე სწავლის უნარის მქონე პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – ბაკალავრების მომზადება ფარმაციის სპეციალობით, რომლებსაც შეეძლებათ: კვალიფიციური ფარმაცევტული დახმარების გაწევა, ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელება, სამკურნალო საშუალებების წარმოება, ფარმაცევტული ანალიზის ჩატარება, ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვა და სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე.

ფარმაცია, როგორც დარგი სწრაფად ვითარდება. დღეს როგორც მსოფლიო, ასევე ქართული ფარმაცევტული ბაზარი მრავალრიცხოვანი სამკურნალო საშუალებებითაა წარმოდგენილი. კვალიფიციური სამედიცინო დახმარების თანმდევი უნდა იყოს შესაბამისი ფარმაცევტული ზრუნვა და რაციონალური ფარმაკოთერაპია, რაც შეუძლებელია კვალიფიციური ფარმაცევტული კადრების გარეშე. წამალი განსხვავებული პროდუქტია ნებისმიერი სხვა სახის პროდუქტისაგან, წამალი მხოლოდ სპეციალისტის ხელშია ეფექტური და უვნებელი, სხვა შემთხვევაში კი იგი ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას.

დღეისათვის, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფარმაცევტული დაწესებულებების (აფთიაქი, ფარმაცევტული საწარმო და ა.შ.) რიცხვი ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან, გაიზარდა მოთხოვნა ფარმაცევტულ კადრებზეც.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტს აქვს დიდი გამოცდილება, ტრადიციები, შესაბამისი ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად ფარმაციის სპეციალობით

საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ ითვალისწინებს 240 კრედიტის შესრულებას. საბაკალავრო პროგრამა „ფარმაცია“ უზრუნველყოფს საფუძვლიანი საწყისი განათლების მიღებას საბაზისო (ზუსტი, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული) სოციალურ, ფარმაცევტულ და სამედიცინო დისციპლინებში და ათვისებული თეორიული მასალის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ცოდნას ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, გადამუშავების, სამკურნალო საშუალებების ტექნოლოგიის, ანალიზის, სტანდარტიზაციის, რაციონალური ფარმაცოთერაპიის და ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზების შესახებ. გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ფარმაცევტის ძირითადი საქმიანობის (ფარმაცევტული ზრუნვა, ფარმაცევტული და ფარმაცოგნოსტული ანალიზი, ფარმაცევტული ტექნოლოგიები) განსახორციელებლად, ასევე შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელების უნარს და სათანადო ღირებულებებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება.

სწავლის შედეგი

ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

დასკვნის უნარი - შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი - შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ ენაზე და უცხოურ ენაზე;

შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

შემოქმედებითად გამოყენება.

სწავლის უნარი - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

ღირებულებები - მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- იცის ადამიანის ორგანიზმის, ორგანოების, ორგანოთა სისტემების ფორმა და აგებულება. უჯრედთა ინტეგრაცია და ქსოვილთა წარმოქმნა, სხვადასხვა ქსოვილის სტრუქტურული და ფუნქციური ორგანიზაცია, მათი წარმოშობა. ადამიანის ორგანიზმში მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე მიმდინარე ძირითადი ბიოლოგიური პროცესები;
- იცის სასიცოცხლო პროცესების მოლეკულური მექანიზმების, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებები, როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ნორმალური პროცესების, ასევე მათი დარღვევების დროს;
- იცის ცოცხალ ორგანიზმში შემავალ ნაერთთა ძირითად კლასების შედგენილობა, ნახშირწყლების, ცილების, ლიპიდებისა და სხვა ნაერთების ცვლა, პათოლოგიური პროცესები;
- იცის ყველა ქიმიური და ფარმაკოლოგიური ჯგუფი, მათი მოქმედების მექანიზმები, ფარმაკოლოგიური ეფექტები, ორგანიზმში შეყვანის, ბიოტრანსფორმაციის და ელიმინაციის გზები; რაციონალური ფარმაკოთერაპიის საფუძვლები.
- იცის მიკროსამყაროს (ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების) მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური თავისებურებები და ამ მიკროსამყაროს ურთიერთქმედება ადამიანთან, კერძოდ, იმუნურ სისტემასთან;
- იცის ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის საფუძვლები;
- იცის ფარმაცევტული დაწესებულებებისა და საწარმოების ორგანიზაციის პრინციპები, მართვისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები;
- იცის ფარმაცევტული ნედლეულისა და პროდუქციის დამზადების, გადამუშავებისა და ანალიზის ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფუძვლები;
- იცის ფარმაცევტული პროდუქციის დამზადებისა და ანალიზის დროს გამოყენებული აპარატურა-მანქანების, ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები;
- იცის მათემატიკის ძირითადი საბაზო საკითხები;
- აცნობიერებს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და პათოლოგიურ პროცესებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა როლს და მნიშვნელობას;
- აცნობიერებს ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, შრობის, გადამუშავების, შენახვის წესების, ანალიზის, სტანდარტიზაციის მეთოდების დაცვის მნიშვნელობას უსაფრთხო, ეფექტური და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქციის მიღებისას, როგორც ავთიაქის ასევე საწარმოს პირობებში;
- აცნობიერებს ფარმაცევტულ პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას, ფარმაცევტული დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- შეუძლია სტანდარტული მეთოდებით ნივთიერებათა მიღება და მათი ქიმიური ანალიზის პრაქტიკულად განხორციელება;

- შეუძლია ბუნებრივი (მცენარეული, ცხოველური და მინერალური) და სინთეზური ნედლეულის დამზადება, გადამუშავება და შენახვა;
- შეუძლია ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი;
- შეუძლია სამკურნალწამლო საშუალებების ექსტემპორალური დამზადება (რეცეპტის შესაბამისად) და ფარმაცევტული პროდუქციის სერიული წარმოება(რეგლამენტის შესაბამისად);
- შეუძლია ფარმაცევტული პროდუქციის სტაბილურობის განსაზღვრა და ვარგისობის ვადების დადგენა;
- შეუძლია ნედლეულის, სუბსტანციის და ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის კონტროლი.
- შეუძლია აპარატურა-დანადგარების და ხელსაწყოების უსაფრთხოდ ექსპლოატაცია;
- შეუძლია რაციონალური ფარმაცოთერაპიის აღმოჩენა;
- შეუძლია ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა;
- შეუძლია მათემატიკური მოდელის აგება;
- გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს შეუძლია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- აქვს სახელმწიფო სტანდარტებისა და ნორმატულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენების უნარი;
- ქართულ და უცხოურ ენებზე კითხვა, წერა, მოსმენა და მეტყველება;

დასკვნის უნარი:

- შეუძლია ფარმაცევტული საქმიანობის პროცესში ფაქტობრივი მონაცემების გააზრება-განალიზება და დასკვნის გაკეთება, წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე დასკვნის გაკეთება და მათი კვალიფიცირებული აღმოფხვრა;
- შეუძლია ანალიზის მეთოდების გამოყენებით სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ნამდვილობასა და კეთილხარისხოვნებაზე დასკვნის გაკეთება.
- აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი მასალის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;

კომუნიკაციის უნარი:

- შეუძლია პროფესიულ თემებზე დისკუსია და დებატები კოლეგებთან;
- შეუძლია მომხმარებლისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება;
- აქვს ინფორმაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- შეუძლია ახალი პროფესიული მასალის მოძიება და პრეზენტაციის გაკეთება კოლეგებისა და მომხმარებლებისათვის, როგორც ქართულ ასევე უცხოურ ენაზე.
- აქვს ჯგუფში და ინდივიდუალურად მუშაობის უნარი;
- აქვს ვერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარი;
- აქვს ახალ სიტუაციაში ადაპტირების უნარი;

სწავლის უნარი:

- გააჩნია პროფესიული და კარიერული ზრდის მიზნით სწავლის უნარი;

- აქვს შემდგომ საფეხურზე სწავლის უნარი;
- გააჩნია დამოუკიდებლად სასწავლო კომპონენტების შერჩევისა და სწავლის დაგეგმვის უნარი,

ღირებულებები

- პატივს სცემს მშობლიური ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს;
- გააჩნია ფარმაცევტულ პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვისა და გამოყენების უნარი;
- პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული საქმიანობის ხარისხიანად შესრულებაზე;
- იცავს მომხმარებლის ინტერესებს;
- გააჩნია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებების შეგნება;

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

1. დისკუსია/დებატები - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას, ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

3. დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური. დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლათ. დემონსტრირება შეიძლება მარტივ სახეს ატარებდეს, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი ექსპერიმენტის ჩატარება.

4. ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ, პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

5. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

6. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად მულტიმედიაური მასალის გამოყენებით, ან მის გარეშე, აპარატურა-მანქანებისა და ტექნოლოგიური პროცესების ანიმაციური ჩვენებით. სწავლის პროცესში გამოიყენება: ინტერაქტიური ტექნოლოგიები, ანალიზისა და

სინთეზის მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემური ლექცია – მასალის გადაცემა რეჟიმში „მონოლოგი–დიალოგი“ და სხვა.

7.წერიტი მუშაობის მეთოდი – სწავლების პროცესში განსაკუთრებით კი ლაბორატორიული მეცადინეობების დროს სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გააკეთონ ჩანაწერები შესრულებული სამუშაოს, აგრეთვე კონკრეტული სიტუაციური ამოცანების გადაჭრის გზების შესახებ ოქმების სახით.

8.პრაქტიკული მეთოდები – სწავლების პროცესში კერძოდ ლაბორატორიული მეცადინეობების დროს სტუდენტი დამოუკიდებლად ახორციელებს ტექნოლოგიურ პროცესებს შესაბამისი აპარატურა–მანქანების გამოყენებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც თავის, მხრივ მოიცავს ლექცია-პრაქტიკუმებზე სტუდენტის დასწრების კომპონენტს, ყოველდღიურ აკადემიურ აქტიურობას, პრაქტიკული უნარების შეფასებას და კოლოკვიუმის შეფასებას. შუალედური შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა კომპონენტებსაც,

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: ტესტური, ზეპირი ან კომბინირებული შემაჯამებელი გამოცდა,

არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.

დადებითი შეფასებებია:

ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;

გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი “ჩაიჭრა” შეფასებას ღებულობს, აგრეთვე:

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.

სასწავლო გეგმა

N	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათები						კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								
			მათ შორის						I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	V სემ.	VI სემ.	VII სემ.	VIII სემ.	
			საკონტაქტო	ლექცია	პრაქტიკული	გამოცდა	სემინარი	დამოუკ.სამუშ.									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	
1.	უმალლესი მათემატიკის საფუძვლები	3	42	10	30	2		48	3								
2.	ზოგადი და არაორგანული ქიმია	6	90	28	60	2		90	6								
3.	ანატომიის საფუძვლები	3	42	10	30	2		48	3								
4.	ჰისტოლოგიის საფუძვლები	3	46	14	30	2		44	3								
5.	ბოტანიკა I(მცენარეთა მორფოლოგია, ანატომია,ფიზიოლოგია)	5	77	15	60	2		73	5								
6.	სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა	3	42	10	30	2		48	3								
7.	პროფესიული ლათინური ენა	2	30			2	28	30	2								
8.	სამედიცინო ბიოლოგია	2	22			2	20	38	2								
9.	უცხოური ენა 1	3	30			2	28	60	3								
10.	ადამიანის ფიზიოლოგია I	4	61	14	45	2		59		4							
11.	მოლეკულური გენეტიკის საფუძვლები.	3	46	14	30	2		44		3							
12.	ბოტანიკა II (მცენარეთა სისტემატიკა)	6	92	15	75	2		88		6							
13.	სამედიცინო პარაზიტოლოგია	3	42	10		2	30	48		3							
14.	ფარმაცევტული ზრუნვა 1	3	46	14	30	2		44		3							
15.	საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	30		30	2		28		2							
16.	აკადემიური წერის საფ.	2	30			2	28	30		2							
17.	ბიოეთიკა	2	30			2	28	30		2							
18.	უცხოური ენა II	3	30			2	28	60		3							
19.	არჩევითი დისციპლინა: 1. ეკოლოგიის საფუძვლები, 2. ნარკოტიკული საშუალებების ტოქსიკოლოგია	2	26	20		2	4	34		2							
20.	ორგანული ქიმია - I	4	61	14	45	2		59			4						
21.	ზოგადი მიკრობიოლოგია	4	61	14	45	2		59			4						

22	ადამიანის ფიზიოლოგია II	4	61	14	45	2		59			4					
23	კლინიკური უნარ - ჩვევები	2	30		28	2		30			2					
24	ანალიზური ქიმია	6	90	28	60	2		90			6					
25	ჰიგიენის საფუძვლები ფარმაციაში	3	40	10		2	28	50			3					
26	პათოლოგია I	3	46	14	30	2		44			3					
27	სამეცნიერო უნარ-ჩვევები	2	22			2	20	38			2					
28	უცხოური ენა III	2	30			2	28	30			2					
29	ანალიზის ინსტრუმენტალური მეთოდები	4	62	15	45	2		58			4					
30	ზოგადი ბიოქიმია	6	90	28	60	2		90			6					
31	პათოლოგია II	3	46	14	30	2		44			3					
32	ფიზიკური და კოლოიდური ქიმია	6	90	28	60	2		90			6					
33	ფარმაკოგნოზია I	5	77	15	60	2		73			5					
34	ორგანული ქიმია II	4	61	14	45	2		59			4					
35	იმუნოლოგია	2	30	14	14	2		30			2					
36	ფარმაცევტული ქიმია I	5	77	15	60	2		73				5				
37	ფარმაკოგნოზია II	5	77	15	60	2		73				5				
38	გალენური პრეპარატების ტექნოლოგია	10	152	30	120	2		148				10				
39	ფარმაკოლოგია I	4	61	14	45	2		59				4				
40	ტოქსიკოლოგიური ქიმია I	4	61	14	45	2		59				4				
41	არჩევითი დისციპლინა:1. ექსტრემალურ მდგომარეობათა ეტიოლოგია, პათოგენეზი და პრევენციის პრინციპები 2. ბიოფარმაციის საფუძვლები	2	26	20		2	4	34				2				
42	ფარმაცევტული ქიმია - II	10	152	30	120	2		148					10			
43	ფარმაკოლოგია II	4	61	14	45	2		59					4			
44	ტოქსიკოლოგიური ქიმია II	4	61	14	45	2		59					4			
45	მზა წამლთფორმების ტექნოლოგია	10	152	30	120	2		148					10			
46	არჩევითი დისციპლინა: 1. შინაგანი სნეულებები 2. ფარმაცევტული კოსმეტოლოგიის საფუძვლები	2	30	20	8	2		30					2			
47	ფარმაცევტული სა-ქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა	8	120	28	90	2		120							8	
48	ფარმაკოკინეტიკის საფუძვლები	4	61	14	45	2		59							4	
49	კლინიკური ფარმაცია	8	120	28	90	2		120							8	

50	ფარმაცოთერაპია	8	120	28	90	2		120							8
51	არჩევითი დისციპლინა: 1.ფიტოთერაპიის საფუძვლები 2.ფარმაცევტული საწარმო	2	26	20		2	4	34							2
	პრაქტიკული უნარ- ჩვევების მოდული														
52	ფარმაცევტული ზრუნვა 2	6	90					90							6
53	ფარმაცევტული ტექნოლოგიები	8	120					120							8
54	ფარმაცევტული ანალიზი	8	120					120							8
55	ფარმაცოგნოსტული ანალიზი	4	60					60							4
56	ფარმაცოთერაპიული არჩევანი	2	30					30							2
57	არჩევითი დისციპლინა: 1.ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა, 2.ფარმაცევტული მენეჯმენტის და მარკეტინგის საფუძვლები	2	30			2	28	30							2

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. სასწავლო დისციპლინებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები – პროფესორები, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და, პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, ეწევიან ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მეთოდურ და პრაქტიკულ საქმიანობას.

აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლის და/ან მკვლევარის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი კვლევითი აქტივობა, დადასტურებული სამეცნიერო/სამეცნიერო-მეთოდური პუბლიკაციით. პრიორიტეტულია პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში. მოწვეული მასწავლებლის სტატუსის მოპოვების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი კრიტერიუმია მისი პრაქტიკული და/ან აკადემიური გამოცდილება.

პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან: ლუბლინისა და ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტებთან (პოლონეთი), ბელგიის ლიეჟის უნივერსიტეტთან, საფრანგეთის მარსელის ხმელთაშუაზღვის და ტულუზის უნივერსიტეტთან, კანადის კვებეკის შიკუტიმის უნივერსიტეტთან, ხარკოვის ნაციონალურ ფარმაცევტულ უნივერსიტეტთან. აღნიშნულ

უნივერსიტეტებში სტაჟირება გაიარა ფაკულტეტის ათეულობით თანამშრომელმა, დოქტორანტმა და სტუდენტმა.

სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა

პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი დისციპლინის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: დისციპლინის სილაბუსით; სალექციო კურსებით; ძირითადი სახელმძღვანელოებითა და დამხმარე საინფორმაციო წყაროებით; სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით; სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიებითა და აუდიო / ვიდეო მასალებით.

საგანმანათლებლო პროგრამა, მისი შემადგენელი სასწავლო კურსები ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას, რაც გულისხმობს სამედიცინო-ბიოლოგიური, ფარმაციის მიმართულებით დაგროვილი და უახლესი, მტკიცებულებებზე დამყარებული ცოდნის და მეთოდოლოგიის სრულ და ადეკვატურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და სასწავლო დეპარტამენტების ბაზაზე არსებული ფონდი, ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფორმით შეიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ძირითად ლიტერატურას; დარგის აქტუალური მიღწევების ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებზე უზრუნველყოფილია, ასევე, ჩართულობით საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

პროგრამა ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეოთხე სასწავლო კორპუსის ბაზაზე, სადაც განთავსებულია ფარმაციის ფაკულტეტის პროფილური დეპარტამენტები-სპეცილური სასწავლო ლიტერატურით, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობისათვის განკუთვნილი ლაბორატორიებით, ტექნიკური აღჭურვილობებითა და კომპიუტერული ტექნიკით. სალექციო აუდიტორიებით, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიით. აქ ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობისა და პრაქტიკული უნარების ათვისებისათვის. სტუდენტებისათვის გამოყოფილია საკონსულტაციო საათები და გაკრულია ყველა დეპარტამენტში. საბაზისო დისციპლინებს ფაკულტეტის სტუდენტები სწავლობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საბაზისო დეპარტამენტების ბაზაზე.

სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო პრაქტიკებს, რომელიც ხორციელდება ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში, თსსუ იოველ ქუთათელაძის ინსტიტუტში, ფარმაცევტული კომპანიების: „ავერსი-ფარმა“, „პსპ-ფარმა“, „ჯი-პი-სი“, ფარმაცევტული საწარმოების „ჯი-ემ-პი“, „ნეოფარმი“ და წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის „ჯეოლაბის“ ბაზაზე მათთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. (ხელშეკრულებებისა და მემორანდუმის დანართები).

დასაქმების სფეროები

ფარმაციის ბაკალავრს შეუძლია მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების გამოყენება სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტებში, ფარმაცევტულ წარმოებაში, წამლის ხარისხის კონტროლის და ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში, სასამართლო და ქიმიურ ექსპერტიზაში, ფარმაცევტულ ბაზებში, ღია და დახურული ტიპის აფთიაქებში, ქიმიური რეაქტივებისა და სამედიცინო ტექნიკის დაწესებულებებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფარმაციის ბაკალავრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.